

## შეტყობინება მესამე

**იობის მიერ ღმერთის დამანგრეველი და მომშორებელი  
ზემოქმედების განცდა ძველ აღთქმაში  
გაცილებით ჩამორჩება პავლეს განცდებს ახალ აღთქმაში**

ადგილები წერილიდან: იობი 3:1; 2 კორ. 4:10-12, 16-18; ფილიპ. 1:19-25; 4:4

- I. მიუხედავად თავისი სრულყოფილებისა, სიმართლისა და უბიწოებისა იობი იყო უკიდურესად შეწუხებული, საგონებელში ჩავარდნილი და დაბნეული, როდესაც შეეჯახა უბედურებებს, რომლებიც თავს დაატყდა მის სიმდიდრეს და მის შვილებს, და მძიმე სენს, რომელიც შეეყარა მის სხეულს:
- როდესაც იობმა დაწყევლა თავისი დაბადების დღე (ამით მან, არსებითად, დაწყევლა თავისი დედა), ის ეჭვგარეშეა, არ იყო სრულყოფილი და მართალი და ის არ იყო ჩაჭიდებული თავის უბიწოებას; პირიქით, მისი უბიწოება არ შედგა – იობი 3:1.
  - ღმერთის განზრახვა არის ის, რომ დაანგრიოს ბუნებრივი იობი მის სრულყოფილებასა და სიმართლეში და შემდეგ ააშენოს განახლებული იობი ღმერთის ბუნებასა და თვისებებში, რათა გახადოს იობი ღმერთის ადამიანი, რომელიც შედგება ღმერთისაგან მისი სახლმშენებლობის თანახმად; ისეთი ადამიანი (როგორც პავლე) არასოდეს არ გაიხლართება რაიმე უბედურებისა და პრობლემის გამო იმდენად, რომ დაწყევლოს თავისი დაბადება და ამჯობინოს სიკვდილი სიცოცხლეს – ფილიპ. 1:19-25; 4:5-9.
  - იობი ცხოვრობდა თავისი შესანიშნავი წარსულით და დასტიროდა თავის უბადრუკ აწმეოს (იობი 29:1-30:31); ის დაუინებით მტკიცედ იდგა თავის სიმართლეზე, სამართლიანობასა და სრულყოფილებაზე და თავსაც კი იქებდა ამ ყველაფრით (27:1-7; 31:1-40):
    - თუმცა, პავლე ვარჯიშობდა იმაში, რომ დაევიწყებინა ის, რაც არის უკან, წარსულში, რათა მოეპოვებინა ნამდვილი „დღევანდელი ქრისტე“ ყველაზე სრული ზომით – ფილიპ. 3:8, 13-14.
    - გარდა ამისა, პავლე იყო არა გუშინდელი დღის ადამიანი, არამედ ადამიანი დღევანდელი დღის (ებრ. 3:7-8, 15; ფსალ. 95:7-8); ჩვენ არ უნდა გავიხედოთ წინ მომავალში და არ უნდა გავიხედოთ უკან წარსულში; ჩვენ ვართ დღევანდელი დღის ადამიანები (მათე 6:11, 33-34; ლუკა 19:9-10; 23:43).
    - ქრისტე, რომელიც ჩვენ გვიყვარს, არის ქრისტე ახლა, ქრისტე დღეს და ქრისტე ტახტზე ზეცაში, რომელიც არის ჩვენი ყოველდღიური გადარჩენა და ყოველწამიერი შეწევნა, რომელიც გვინარჩუნებს ჩვენ, რომ ვიცხოვროთ ზეციური ცხოვრებით დედამიწაზე – მათე 28:20; 1 პეტ. 1:8; ებრ. 8:2; 4:14-15; 7:26; 2 კორ. 6:2; რომ. 5:10.
    - როდესაც ჩვენ მთლიანად გავხდებით ახალი იერუსალიმი, ჩვენ გვექნება მხოლოდ დღევანდელი დღე, ვინაიდან ყოველი დღე მარადისობაში არის დღევანდელი დღე; ერთადერთი დღე, რომელიც გვაქვს ჩვენ, ეს არის დღევანდელი დღე, და არა ხვალინდელი დღე.

- დ. იობმა რვაჯერ მიმართა თავის სამ მეგობარს, და ამის მეშვეობით მან ამხილა თავისი თავი როგორც ადამიანი, რომელსაც ჰქონდა შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:
1. იობი იყო საკუთარი სიმართლის მქონე ადამიანი (იობი 6:30; 9:20; 27:5-6; 32:1); ის აღმოჩნდა სიბნელეში თავისი ბუნებრივი არსების წარმატებებისა და მიღწევების გამო, კმაყოფილდებოდა იმით, როგორიც ის გახდა, მაგრამ ამასთან ერთად ის ვერ აცნობიერებდა, რომ მისი მდგომარეობა დმერთის წინაშე იყო საცოდავი (შდრ. ფილიპ. 3:9; გამოცხ. 3:17-18).
  2. იობი აღიარებდა დმერთს სიტყვით, მაგრამ არა სინამდვილეში; ის არ იყო გაუღენთილი დმერთით, ავსებული დმერთით და შერწყმული დმერთთან, რათა გამხდარიყო ერთი დმერთთან – ფსალ. 92:10; ლევ. 2:4-5; რომ. 8:16; 2 ტიმ. 4:22; 1 კორ. 6:17; ეფეს. 3:19; 5:18, 26; ებრ. 2:10-11.
  3. იობს არ ჰქონდა რაიმე ელემენტი, რომელიც მიუთითებდა ამა თუ იმ ასპექტზე და ამა თუ იმ დეტალზე ახალი იერუსალიმისა როგორც დმერთის ორგანიზმისა, რომელიც ცხოვრობს დმერთს და გამოხატავს დმერთს მარადიულად; ამის საწინააღმდეგოდ გამარჯვებულზე დაწერილია დმერთის სახელი, ახალი იერუსალიმის სახელი და უფლის სახელი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ გამარჯვებულში ჩანერგილია ყველაფერი, რასაც წარმოადგენს დმერთი, ახალი იერუსალიმის ბუნება და უფლის პიროვნება – გამოცხ. 3:12.
- ე. არც იობმა, არც მისმა მეგობრებმა, არ იცოდნენ დმერთის მუშაობის მიზანი მასზე ისე, როგორც ეს იცოდა მოციქულმა პავლემ, რომელმაც აუწყა ახალი აღთქმის მორწმუნებას, რომ მწეხარება, რომელსაც განიცდიან მორწმუნები, წარმოქმნის მათოვის მარადიულ წონას დიდებისა, რომელიც არის დიდების დმერთი როგორც მათი დიდებული ხვედრი, რომელიც მათ უნდა მოიპოვონ და რომლითაც ისინი უნდა დატბნენ მარადიულად – 2 კორ. 4:17.
- ვ. იობს და მის მეგობრებს რომ დაეთმოთ ყურადღება იმისათვის, რომ ეძებნათ დმერთი მორჩილების სულში და თავისი სულის გარჯიშის მეშვეობით ლოცვაში (ესაია 57:15; 66:2; კოლ. 4:2), დმერთი შეძლებდა ეჩვენებინა მათოვის, რომ ხელახლაშობილ, გარდასახულ და განდიდებულ წმიდანს ქრისტეში არა აქვს არაფერი საერთო ბენებრივ ადამიანთან და მას არ სჭირდება, რომ ააშენოს თავისი თავი ბუნებრივი სათხოებების მეშვეობით.
- ზ. ეს ზეციური ხედვა გადაარჩენდა მათ, რომ არ დაეკარგათ დრო, არ გაედრმავებინათ ტანჯვები და ამაოდ არ ეკამათათ ოცდათხუთმეტი თავის განმალობაში, სადაც საუბარია ბრმა ადამიანების ჯგუფზე, რომლებიც ხელის ცეცებით მოძრაობენ სიბნელეში; ისინი საუბრობდნენ დმერთზე და ასევე ახსენებდნენ თავიანთ სულს (იობი 32:8), მაგრამ ამასთან ერთად ისინი ავარჯიშებდნენ თავიანთ გონებას კამათის სამი ხანგრძლივი ციკლის განმავლობაში, ნაცვლად იმისა, რომ ევარჯიშებინათ თავიანთი სული იმ მიზნით, რომ ელოცათ იობისათვის და ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რათა ყველა მათგანს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ

შეხებოდნენ დმერთს და მიეღოთ დმერთი როგორც თავინთი სიცოცხლე, სინათლე და სულიერი შეწევნა:

1. თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს სასიცოცხლო ჯგუფები, ჩვენ უნდა ადგიქვათ ეს საუბრები იობის წიგნში როგორც გაფრთხილება; ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ვხედავთ იობის წიგნში, გვიჩვენებს უარყოფით მაგალითს; ეს არის ისეთი ჯგუფური კრება, როგორიც არ უნდა იყოს დღეს ეპლესიურ ცხოვრებაში; პირველი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, როდესაც ერთად ვიკრიბებით, – არის ის, რომ ვავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა ვილოცოთ; სასიცოცხლო ჯგუფები არის სასიცოცხლო ლოცვის ჯგუფები – შდრ. საქმე 12:5, 11-12; ებრ. 10:24-25; 3:13.
  2. ჯგუფები არის სასიცოცხლო ამ ორ სულში: ისინი არიან სასიცოცხლო ჩვენს ადამიანურ სულში და ისინი არიან სასიცოცხლო დმერთის დვთაებრივ სულში; ქრისტიანული ცხოვრება არის ცხოვრება დასრულებული სულის როგორც დასრულება სამერთიანი დმერთის, რომელიც ჩვენს ხელახლაშობილ სულშია დამკვიდრებული და ჩვენს ხელახლაშობილ სულთან არის შერწყმული, რათა იყოს ერთი სული – იოანე 4:24; რომ. 8:16; 1 კორ. 6:17; გალ. 3:14; 6:18.
  3. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ შევეხოთ დვთაებრივ სულს ჩვენს სულში; ეს არის სიღრმისეული მნიშვნელობა ქრისტიანული ცხოვრებისა და მუშაობის; ეს არის დმერთის მოძრაობა ადამიანში და ადამიანის მოძრაობა დმერთში, რათა განახორციელოს თავისი სახლმშენელობა, მისი გეგმა, – დაარიგოს თავისი თავი ქრისტეში როგორც სული ადამიანში, რათა ააშენოს თავისი სხეული და მოამზადოს თავისი პატარძალი იმ მიზნით, რომ დაასრულოს ახალი იერუსალიმი – 2 კორ. 2:13; ფილიპ. 3:3; რომ. 1:9.
  4. პავლე ხაზს უსვამს რომაელთა მიმართ წერილში, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ (2:29; 8:5-6, 9), ყველაფერი, რაც ჩვენ გვაქვს (მუხ. 10, 16), და ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ დმერთან მიმართებით (1:9; 7:6; 8:4; 12:11), უნდა იყოს ჩვენს სულში; ჩვენ უნდა ვიყოთ სრულყოფილები და ავშენდეთ, რათა ვიყოთ ადამიანები სულში; იმისათვის, რომ გვიყვარდეს დმერთი, ვეძებოთ ქრისტე ან ვიყოთ გამარჯვებული, არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ ვიყოთ სულში (გამოცხ. 1:10; 4:2; 17:3; 21:10).
- II. ის, თუ როგორ განიცადა ძველ აღთქმაში იობმა დმერთის დამანგრეველი და მომშორებელი ზემოქმედება, გაცილებით ჩამორჩება პავლეს განცდებს ახალ აღთქმაში – 1 ტიმ. 1:16:
- a. დმერთის დამანგრეველი ზემოქმედება განკუთვნილია იმისათვის, რომ გამოგვიტოს ჩვენ; ხოლო დმერთის მიერ მომშორებელი ზემოქმედება განკუთვნილია იმისათვის, რომ დაამსხვრიოს და მოაშოროს ჩვენი ბუნებრივი უბიწოების მთელი ერთობლიობა (ჩვენი ბუნებრივი სრულყოფილება და სიმართლე ჩვენს ხასიათში), რომელიც ანაცვლებს თავისით ჩვენ მიერ

ქრისტეს გამოვლინებას ჩვენი ცხოვრებით ქრისტეს გამოხატულებისათვის – ფილიპ. 1:19-20; 3:4-9ა.

- ბ. დღითი დღე და ყოველ წუთს იობი უკმაყოფილოდ განიცდიდა თავის თავზე დამანგრეველ ზემოქმედებას, მაგრამ ახალ აღთქმაში დმერთის დამანგრეველი და მომშორებელი ზემოქმედება ხდება რაღაც სასიამოვნო; თავისი მოქცევის დღიდან პავლე იყო ადამიანი, რომელიც განიცდიდა დმერთის დამანგრეველ და მომშორებელ ზემოქმედებას როგორც პატიმარი უფალში, მაგრამ ის იყო ავსებული სიხარულითა და მხიარულებით – საქმე. 9:15-16; 2 კორ. 4:16; ფილიპ. 1:19-21ა; ეფეს. 3:1; 4:1; ფილიპ. 1:4, 18, 25; 2:2, 17-18, 28-29; 3:1; 4:1, 4.
- ბ. პავლე იყო ჯვარცმული ქრისტესთან ერთად; ხელახლა დაბადება დასრულებისა და ჩასახვის მეშვეობით ნიშნავს ხელახლავიშვათ ჯვარცმული (იოანე 3:5; რომ. 6:4; კოლ. 2:12); ჩვენ, პავლეს მსგავსად, ვიყავით ხელახლა შობილი ჯვარცმულები იმ მიზნით, რომ ამ მომენტიდან უპარ ჩვენ აღარ ვიცხოვოთ, არამედ ქრისტემ იცხოვოს ჩვენში (გალ. 2:20).
- ც. ახლა ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებაში ჩვენ ვკვდებით, რათა ვიცხოვოთ (მუხ. 20; 1 კორ. 15:31, 36; იოანე 12:24; 2 კორ. 4:11); მოვკვდეთ, რათა ვიცხოვოთ, – აი რას ნიშნავს სინამდვილეში ვატაროთ ჯვარი (მათე 16:24-26; ჰიმნი 452).
- ე. თავის განცდაში დმერთის დამანგრეველი და მომშორებელი ზემოქმედებისა, პავლე არ ყოფილა შეზღუდული წინააღმდეგობებით ყველა მხრიდან და არ ყოფილა განადგურებული, მიუხედავად იმისა, რომ იყო ჩამოგდებული; პავლეს არ დაუწყევლია თავისი დაბადების დღე და არ უთქვამს, რომ სიცოცხლეს ამჯობინებს სიკვდილს; პირიქით, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ პავლემ თქვა, რომ ის მაინც უპირატესობას ანიჭებს სიცოცხლეს წმიდანების წარმატებისათვის (მათი ზრდისათვის სიცოცხლეში) და მათი რწმენის სიხარულისათვის (მათი ქრისტეთი ტკბობისათვის) – 2 კორ. 1:8-9; გალ. 2:20; ფილიპ. 1:21-25.
- ვ. როდესაც პავლე განიცდიდა ტანჯვებს ქრისტეს გულისათვის (2 კორ. 12:10), ის პოულობდა ამაში სიხარულს, ის იყო კმაყოფილი და ხარობდა კიდევაც უფალში ამ განცდების გამო (კოლ. 1:24; ფილიპ. 2:17-18).
- ზ. პავლეს უნდოდა, რომ გაეცნო ქრისტე, მისი ადდგომის ძალა და მის ტანჯვებთან ურთიერთობა, რათა დამსგავსებოდა ქრისტეს სიკვდილს (3:10); ის დებულობდა ქრისტეს სიკვდილს როგორც „ფორმას“ თავისი ცხოვრებისათვის, და მისთვის იყო დიდი სიამოვნება, რომ ყოფილიყო მოთავსებული ქრისტეს სიკვდილში.
- თ. პავლე განადიდებდა ქრისტეს, ცხოვრობდა მას, იქნებოდა ეს სიცოცხლით თუ სიკვდილით, იქსო ქრისტეს სულის უხვი შეწევნის მეშვეობით; როდესაც დმერთმა შექმნა ადამიანი, მას უნდოდა, რომ ადამიანს ეცხოვრა სწორედ ასეთი სიცოცხლით – 1:19-21ა; დაბ. 1:26.
- ი. პავლემ თქვა, რომ ის ყოველთვის ატარებდა სხეულში იქსოს მოკვდინებას, მომაკვდინებელ ქმედებას, და გადაეცემოდა სიკვდილს იქსოს გულისათვის,

რათა იესოს ცხოვრება ყოფილიყო გამოვლენილი მის სიკვდილით სავსე ხორცში; როდესაც ჩვენ ვართ უფლის სიკვდილის მომაკვდინებელი ქმედების ქვეშ, მისი აღდგომის სიცოცხლე ინერგება ჩვენი მეშვეობით სხვებში – 2 კორ. 4:10-12:

1. იესოს მოკვდინება ჩვენს გარემოცვაში თანამშრომლობს ჩვენში მყოფ სულთან, კლავს ამის მეშვეობით ჩვენს ბუნებრივ ადამიანს (ჩვენს გარეგან კაცს), რომელიც მოიცავს თავის თავში ჩვენს სხეულს და ჩვენს სამშვინველს; მასთან ერთად, რაც ჩვენი გარეგანი ადამიანი იმსხვრევა სიკვდილის მომაკვდინებელი სამუშაოს მეშვეობით, ჩვენი შინაგანი ადამიანი დღითი დღე ახლდება აღდგომის სიცოცხლის ახალი შეწევნის მეშვეობით – მუხ. 16.
2. პავლემ თქვა, რომ ის ყოველ დღე კვდება (1 კორ. 15:31); ყოველ დღე ის რისკავდა, რომ მომკვდარიყო, ეხებოდა სიკვდილს და კვდებოდა თავისი „მესათვის“ (2 კორ. 11:23; 4:11; 1:8-9; რომ. 8:36).
3. ქრისტეს სიკვდილის გამოყენება და მისი ქმედითობა ხდება შედგენილ სულში, რომელიც მკვიდრობს ჩვენს სულში, რათა დაარიგოს ქრისტეს სიკვდილი და მისი ქმედითობა ჩვენი სულიდან ჩვენს სამშვინველში და ჩვენს სიკვდილის სხეულშიც კი – გამ. 30:22-25; რომ. 8:6, 9-11.
4. ეს დარიგება არის ცხებულება (1 იოანე 2:20, 27), ხოლო ცხებულება არის მოძრაობა ჩვენში მყოფი სულისა; ჩვენი ლოცვა იწვევს მოძრაობას ჩვენში მყოფი სულისა, და ამ მოძრაობაში არის მომაკვდინებელი ძალა.
5. როდესაც განიცდიდა ღმერთის გამანადგურებელ და მომშორებელ ზემოქმედებას პავლემ თქვა, რომ ჩვენი ხანმოკლე მსუბუქი ტანჯვა წარმოქმნის ჩვენთვის უფრო და უფრო მეტ სიუხვეში დიდების მარადიულ წონას; სიტყვა „მარადიული“ საპირისპიროა სიტყვისა „ხანმოკლე“, სიტყვა „წონა“ - სიტყვისა „მხუბუქი“, ხოლო სიტყვა „დიდება“ - სიტყვისა „ტანჯვა“ - 2 კორ. 4:16-17; რომ. 8:28-29.
- ლ. იობი, როდესაც ის იტანჯებოდა, თვლიდა რომ ეს იყო რაღაც ძალიან მძიმე, მაგრამ პავლე თვლიდა, რომ მისი ტანჯვა იყო ხანმოკლე და იოლი; ნაცვლად იმისა, რომ ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ტანჯავას, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ჩვენში ღმერთის როგორც დიდების წონის გაზრდაზე ჩვენი გარდასახვით ერთი ხარისხის დიდებიდან სხვა ხარისხის დიდებისაკენ; თუ ჩვენში არის მეტი ღმერთი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი – საქმე 7:2; 2 კორ. 3:18; კოლ. 2:19:
1. პავლეს მსგავსად, ჩვენ ვიმყოფებით ტანჯვისა და წნების გარემოცვაში, რომელიც მუშაობს სულთან ერთად, აკვდინებს ჩვენს ბუნებრივ ადამიანს; ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენში მყოფ სულთან და მივიღოთ გარეგანი გარემოცვა ჩვენს სულში, სამშვინველსა და სხეულში, რადგან ჩვენ ვუყურებთ არა იმას, რაც დაკავშირებულია დროებით მწუხარებასთან, ანუ ხილულთან, არამედ იმას, რაც დაკავშირებულია მარადიულ დიდებასთან, ანუ უხილავთან – ფილიპ. 1:19-20; 2 კორ. 4:18; ებრ. 11:1, 27; 2 კორ. 5:7.

2. ჩვენ უნდა გავარჯიშოთ ჩვენი სული, რათა ვიხაროთ ჩვენს მომაკვდინებელ გარემოცვაში (ფილიპ. 4:4); უფლის უზენაესი ძალაუფლება მოქმედებს, გვათავსებს ჩვენ ქრისტეს სიკვდილის ზემოქმედების ქვეშ, რათა მისი სიცოცხლე გამოვლინდეს ჩვენს სხეულში ჩვენი შინაგანი კაცის განახლებასთან ერთად იმ მიზნით, რომ გაგხადოს ჩვენ ისეთივე ახლები, როგორიც არის ახალი იერუსალიმი (2 კორ. 4:10-12, 16; 5:17; გალ. 6:15; გამოცხ. 21:2, 5, 10).